895/3-113/22 2 02022022

895/3-113/22
02-02-2022

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს
მამუკა წოწერიას

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგმართავთ შემდეგ საკითხებზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურჩაში არსებული ამბულატორია დღემდე არ ფუნქციონირებს გთხოვთ, სასწრაფოდ შემჭიდროვებულ ვადებში მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება და მოგვაწოდოთ ინფორმაცია როდის იგეგმება ხსენებული ამბულატორიის გახსნა და როდის შეძლებს მოსახლეობა სარგებლობას.

ასევე სოფელ ხურჩაში შიდა გზები და სანიაღვრე სისტემა მოსაწესრიგებელია, არსებული გარე განათება გაუმართავია. გთხოვთ, სასწრაფოდ შემჭიდროვებულ ვადებში მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება და მოგვაწოდოთ ინფორმაცია, როდის შეძლებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა წითლიძე

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

წერილის ნომერი: **24-242206965**
თარიღი: **10/03/2022**
პინი: **0632**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

საქართველოს პარლამენტის წევრს

ქალბატონ ანა წითლიძეს

ქალბატონო ანა,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 02 თებერვალს შემოსული თქვენი N895/3-113/22 (02.02.2022 წ.) (მერიაში რეგისტრაციის N:02-2422033152-24) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ჩვენი ინფორმაციით ხურჩას ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ამბულატორია 2021 ზაფხულიდან ფუნქციონირებს გარკვეული გრაფიკით, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ, 2022 წლის 8 თებერვალს N24-24220398 წერილით მიმართა სსიპ-საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს, საიდანაც პასუხის მიღების შემდეგ ინფორმაციას დამატებით გაცნობებთ.

რაც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხურჩას ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საავტომობილო გზებისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის საკითხს გაცნობებთ, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორაზე საჭიროებისამებრ პერიოდულად ხორციელდება საავტომობილო გზების ორმული შეკეთება, მოხრეშვა და სრული რეაბილიტაცია, ასევე სანიაღვრე არხების მოწყობა/ რეაბილიტაციის და ამოწმენდითი სამუშაოები.

საავტომობილო გზების და სანიაღვრე არხების რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და შემდგომ სამშენებლო სამუშაოების განხორციელება დაიგეგმება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამის ორგანიზაციულ კოდში სათანადო თანხების მობილიზების შემთხვევაში.

პატივისცემით,

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **24-2422070122**
თარიღი: **11/03/2022**
პინი: **3375**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

საქართველოს პარლამენტის წევრს

ქალბატონ ანა წითლიძეს

ქალბატონო ანა,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 02 თებერვალს შემოსული თქვენი N895/3-113/22 (მერიაში რეგისტრაციის N:02-2422033152-24) წერილის პასუხად, დამატებით გეგზავნებათ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში 10 მარტს შემოსული სსიპ-საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრიდან შემოსული წერილი.

დანართი: 1-გვერდზე

პატივისცემით,

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

**სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა
და გადაუდებელი დახმარების ცენტრი**

LEPL Emergency Situations Coordination and Urgent Assistance Center

KA030178467805022

საქართველო, თბილისი 0119; წერეთლის გამზ. N 121; ტელ.: (+995) 591 123 123

N 121, Tsereteli ave, Tbilisi 0119, Georgia; Tel.: (+995) 591 123 123

№ 12/609 **28 / თებერვალი / 2022 წ.**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ მამუკა წონერიას

ასლი: საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის
დირექტორს ბატონ თეიმურაზ კაპანაძეს

ბატონო მამუკა,

თქვენი 2022 წლის 8 თებერვლის № 407 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული საქართველოს პარლამენტის წევრის ანა წითლიძის № 895/3-113/22 წერილს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურჩაში არსებული ამბულატორიის სასწრაფოდ შემჭიდროვებულ ვადებში გახსნის თაობაზე. გაცნობებთ, რომ "2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის #4 დადგენილებით დამტკიცებული პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის დანართი #17.1 მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული 'სოფლის ექიმი"-ს მომსახურების განმახორციელებლად 2022 წლის 1 მარტიდან განისაზღვრება ა(ა)იპ – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხის განხილვა სცდება ცენტრის კომპეტენციას.

პატივისცემით,

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ალექსანდრე კუტიბაშვილი